

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	15
5. ძირითადი საშუალებები.....	18
6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	19
7. საინვესტიციო ქონება	19
8. ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	20
9. მარაგები	21
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	23
12. მიღებული სესხები.....	23
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
14. ამონაგები	24
15. რეალიზაციის თვითღირებულება	24
16. სხვა შემოსავალი, წმინდა.....	25
17. გაყიდვის დანახარჯები.....	25
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
19. პირობითი ვალდებულებები.....	26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	27
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	28

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	40
---	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იბერკომპანის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენს აუდიტით შპს იბერკომპანის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი')

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად შეადგენს 3,187,729 ლარს და 3,454,103 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები საინვესტიციო ქონების ნაწილის ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად შეადგენს ლარს 20,534,343 და 21,738,324 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ერთობლივი საწარმოების ოპერაციების ნაწილზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები მოცემული თარიღისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეადგენდა 2,429,260 ლარს. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ დავადგინეთ აღრიცხული იყო თუ არა ეს ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში წილობრივი მეთოდით, როგორც ეს მოითხოვება ბასს 28-ით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მოგების/(ზარალის) წილში, აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2020 წელს რეალიზებული ერთობლივი საწარმოების ოპერაციების ნაწილზე, აღნიშნულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები რეალიზაციისას ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეადგენდა 520,120 ლარს. აღნიშნულს გამო, ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება 2020 წელს აღნიშნული საწარმოების წილების რეალიზაციის შედეგის სისწორეზე, რომლის მოცულობამაც სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 578,192 ლარი შეადგინა. შედეგად ვერ დავადგინეთ აღრიცხული იყო თუ არა ეს ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში წილობრივი მეთოდით, როგორც ეს მოითხოვება ბასს 28-ით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ერთობლივი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მოგების/(ზარალის) წილში, აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაამჟღავნა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 40-ით (პუნქტი 79), რაც წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვეყონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, კომპანიის ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ნაწილის ისტორიულ ღირებულებაზე, ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის ნაწილის ოპერაციებზე და საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსურ ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ პირობით მოსაზრებას, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, 2021 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ოქტომბერი, 2022

იბერკომპანი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,432,884	13,664,662
აქტივების გამოყენების უფლება	6	3,002,907	2,390,876
საინვესტიციო ქონება	7	27,482,571	27,990,040
არამატერიალური აქტივები		79,266	140,109
ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოებში	8	283,146	181,062
ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ საწარმოებში	8	2,691,106	1,522,145
		49,971,880	45,888,894
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	3,129,961	2,456,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	5,246,799	5,438,351
წინასწარ გადახდილი გადასახადები		200,128	291,106
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	11	-	1,838,173
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	741,973	986,319
		9,318,861	11,010,082
სულ აქტივები		59,290,741	56,898,976
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,808,946	2,050,479
გაუნაწილებელი მოგება		20,794,468	20,216,958
		24,603,414	22,267,437
არამაკონტროლებელი წილი		383,971	264,700
სულ კაპიტალი		24,987,385	22,532,137
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	2,686,259	2,169,430
მიღებული სესხები	12	21,996,322	21,888,077
		24,682,581	24,057,507
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		35,241	-
საიჯარო ვალდებულებები	6	607,799	544,710
მიღებული სესხები	12	7,487,225	8,789,400
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,490,510	975,222
		9,620,775	10,309,332
სულ ვალდებულებები		34,303,356	34,366,839
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		59,290,741	56,898,976

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ----- ლევან დიასამიძე

ფინანსური დირექტორი ----- ირაკლი ნინუა

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,432,884	13,664,662
აქტივების გამოყენების უფლება	6	3,002,907	2,390,876
საინვესტიციო ქონება	7	27,482,571	27,990,040
არამატერიალური აქტივები		79,266	140,109
ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოებში	8	283,146	181,062
ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ საწარმოებში	8	2,691,106	1,522,145
		49,971,880	45,888,894
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	3,129,961	2,456,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	5,246,799	5,438,351
წინასწარ გადახდილი გადასახადები		200,128	291,106
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	11	-	1,838,173
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	741,973	986,319
		9,318,861	11,010,082
სულ აქტივები		59,290,741	56,898,976
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,808,946	2,050,479
გაუნაწილებელი მოგება		20,794,468	20,216,958
		24,603,414	22,267,437
არამაკონტროლებელი წილი		383,971	264,700
სულ კაპიტალი		24,987,385	22,532,137
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	2,686,259	2,169,430
მიღებული სესხები	12	21,996,322	21,888,077
		24,682,581	24,057,507
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		35,241	-
საიჯარო ვალდებულებები	6	607,799	544,710
მიღებული სესხები	12	7,487,225	8,789,400
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,490,510	975,222
		9,620,775	10,309,332
სულ ვალდებულებები		34,303,356	34,366,839
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		59,290,741	56,898,976

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ლევან დიასამიძე

ირაკლი ნინუა

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	14	46,458,678	33,436,232
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(38,329,663)	(25,782,585)
საერთო მოგება		8,129,015	7,653,647
სხვა შემოსავალი, წმინდა	16	374,761	536,733
გაყიდვის დანახარჯები	17	(2,456,179)	(2,016,859)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,978,802)	(2,646,494)
საოპერაციო მოგება		2,068,795	3,527,027
საპროცენტო ხარჯი		(2,729,709)	(2,082,632)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		1,430,483	(3,015,895)
მოგების/(ზარალის) წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში	8	9,155	(1,610)
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ საწარმოში	8	(176,438)	(26,067)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		602,286	(1,599,177)
სრული მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:			
მფლობელისთვის		577,510	(1,612,361)
არამაკონტროლებელი წილისთვის		24,776	13,184

იბერკომპანი ჯგუფი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	2,865,722	21,829,319	24,695,041	23,034	24,718,075
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(1,034,598)	-	(1,034,598)	-	(1,034,598)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება	219,355	-	219,355	228,482	447,837
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	(1,612,361)	(1,612,361)	13,184	(1,599,177)
31 დეკემბერი 2020	2,050,479	20,216,958	22,267,437	264,700	22,532,137
საწესდებო კაპიტალის შემცირება	1,758,467	-	1,758,467	-	1,758,467
არამაკონტროლებელი წილის საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	94,495	94,495
წლის მთლიანი სრული მოგება	-	577,510	577,510	24,776	602,286
31 დეკემბერი 2021	3,808,946	20,794,468	24,603,414	383,971	24,987,385

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	602,286	(1,599,177)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,313,301	2,363,394
საპროცენტო ხარჯი	2,729,709	2,082,632
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	935,109	(30,525)
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება	(521,067)	-
წმინდა მოგება ასოცირებული საწარმოს რეალიზაციიდან	-	(578,192)
მოგების წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში	167,283	27,677
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი	(1,430,483)	3,015,895
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	4,796,138	5,281,704
ცვლილება საკუთარ კაპიტალში:		
მარაგები	(673,828)	(241,916)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(556,541)	(361,380)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	1,838,173	(1,838,173)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	147,081	(290,743)
საგადასახადო ვალდებულება	126,219	(353,809)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	5,677,242	2,195,683
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(4,978,015)	(2,734,362)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	815,464	26,497
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	(1,272,720)	(255,619)
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია	1,184,328	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(9,890)	-
ინვესტიციების ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	(911,835)	(850,058)
არამაკონტროლებელი წილი	94,495	228,482
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,078,173)	(3,585,060)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოდინება მიღებული სესხებიდან	56,385,953	26,497,212
მიღებული სესხების დაფარვა	(55,736,815)	(22,693,204)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(656,208)	(470,388)
სესხებზე გადახდილი პროცენტები	(2,427,174)	(1,041,274)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	(308,291)	(270,687)
მიღებული გრანტები	245,649	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	1,758,467	(1,034,598)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან	(738,419)	987,061
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(139,350)	(402,316)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	986,319	1,292,601
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(104,996)	96,034
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	741,973	986,319

11-39 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს იბერკომპანისა (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მშობელი კომპანია დაარსდა 2000 წლის 6 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 231963818.

მშობელი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწვავით ვაჭრობა და სავაჭრო ობიექტების გაქირავება. მშობელი კომპანია საწვავის რეალიზაციას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი - გოჩა ენუქიძე. ჯგუფს მართავს 100%-იანი წილის მმართველი ლევან დიასამიძე, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში დაკონსოლიდირებულია შემდეგი შვილობილი კომპანიები და წილობრივი მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში:

დასახელება	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	ინვესტიცია	საოპერაციო საქმიანობა
შპს იბერჰესი	100%	100%	შვილობილი	ჰესის მშენებლობა
შპს იბერვანის	100%	100%	შვილობილი	სასტუმრო
შპს ჰოუმმარტი	100%	100%	შვილობილი	კომერციული ფართების იჯარით გაცემა
შპს გალაქსი ინვესტი	100%	100%	შვილობილი	კომერციული ფართების იჯარით გაცემა
შპს მარნეული ალმონდს	90%	100%	შვილობილი	სოფლის მეურნეობა
შპს საბურთალოს ბაზარი 2012	60%	60%	შვილობილი	კომერციული ფართების იჯარით გაცემა
შპს კერა დეველოპმენტი	50%	50%	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს არქი რივერსაიდი	50%	50%	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს ლუჯი თაუერი	50%	-	ერთობლივი საწარმო	სამშენებლო ბიზნესი
შპს ომეგა გაზი	35%	35%	ერთობლივი საწარმო	საწვავით ვაჭრობა
შპს კასლეთი 1	22.5%	22.5%	ერთობლივი საწარმო	ჰესის მშენებლობა
შპს დელტა გაზი	10%	10%	ერთობლივი საწარმო	საწვავით ვაჭრობა
შპს ფოთპეტროლი	40%	40%	მეკავშირე საწარმო	საწვავით ვაჭრობა
შპს შატრო ველი	20%	20%	მეკავშირე საწარმო	ღვინის წარმოება

ზემოთ მოცემული ყველა კომპანიის რეგისტრაციისა და საქმიანობის ადგილია საქართველო.

მშობელი კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სართული 3, ბლოკი B.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. ჯგუფი ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალ ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოიყენება ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. ჯგუფმა გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა კომპანიების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,522,763	3,402,817
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	-	1,838,173
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	676,612	981,563
	5,199,375	4,384,380

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფის მიერ შეფასებული მომავალი საკრედიტო ზარალი წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	576,021	729,084	1,536,755	1,338,504	4,180,364
მიღებული სესხები	6,884,382	2,345,643	23,731,283	7,468,292	40,429,600
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	687,045	-	-	-	687,045
	8,147,448	3,074,727	25,268,038	8,806,796	45,297,009

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	203,465	614,594	2,608,329	506,764	3,933,152
მიღებული სესხები	5,609,027	4,003,758	19,069,279	11,245,004	39,927,068
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	736,347	-	-	-	736,347
	6,548,839	4,618,352	21,677,608	11,751,768	44,596,567

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	940,699	3,582,064	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	324,969	417,004	-
სულ ფინანსური აქტივები	1,265,668	3,999,068	-
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	2,194,838	1,099,220	-
მიღებული სესხები	7,419,877	19,790,918	2,272,752
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	649,651	37,394	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,264,366	20,927,532	2,272,752
ღია საბალანსო პოზიცია	(8,998,698)	(16,928,464)	(2,272,752)

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,402,817	-	-
ფინანსური ინსტრუმენტებისაგან მისაღები თანხები	-	1,838,173	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	169,217	430,307	386,795
სულ ფინანსური აქტივები	3,572,034	2,268,480	386,795
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	2,089,230	624,910	-
მიღებული სესხები	7,583,367	20,524,598	2,569,512
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	173,709	562,638	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,846,306	21,712,146	2,569,512
ღია საბალანსო პოზიცია	(6,274,272)	(19,443,666)	(2,182,717)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე და კაპიტალზე გავლენა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	ლარი / დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / დოლარი	ლარი / ევრო
20% ზრდა	(3,385,693)	(454,550)	(3,888,733)	(436,543)
20% კლება	3,385,693	454,550	3,888,733	436,543

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავტო გასამართი სადგურები	სატვირთო და სხვა ავტომობილები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	194,940	3,567,130	1,210,884	4,174,132	1,621,939	1,559,227	1,162,332	2,176,094	15,666,678
შემოსვლა	4,223,435	144,397	-	26,724	480,371	180,046	463,739	186,163	5,704,875
გასვლა	(1,939,443)	-	(25,530)	-	(53,740)	(2,295)	(50,000)	(933,723)	(3,004,731)
31 დეკემბერი 2020	2,478,932	3,711,527	1,185,354	4,200,856	2,048,570	1,736,978	1,576,071	1,428,534	18,366,822
შემოსვლა	231,223	-	103,511	19,816	1,277,368	400,954	297,241	2,409,971	4,740,084
გასვლა	-	-	-	(7,120)	(934,130)	-	-	(21,859)	(963,109)
31 დეკემბერი 2021	2,710,155	3,711,527	1,288,865	4,213,552	2,391,808	2,137,932	1,873,312	3,816,646	22,143,797
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2019	-	(803,641)	(310,188)	(1,089,559)	(536,428)	(647,725)	-	(298,728)	(3,686,269)
წლის ცვეთა	-	(192,561)	(113,076)	(223,989)	(260,294)	(197,370)	-	(86,169)	(1,073,459)
გასული ძირითადი საშუალებების	-	-	7,095	-	1,476	-	-	48,997	57,568
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(996,202)	(416,169)	(1,313,548)	(795,246)	(845,095)	-	(335,900)	(4,702,160)
წლის ცვეთა	-	(183,620)	(99,730)	(210,971)	(227,474)	(265,590)	-	(124,363)	(1,111,748)
გასული ძირითადი საშუალებების	-	-	-	890	102,105	-	-	-	102,995
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(1,179,822)	(515,899)	(1,523,629)	(920,615)	(1,110,685)	-	(460,263)	(5,710,913)
ნეტო საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2020	2,478,932	2,715,325	769,185	2,887,308	1,253,324	891,883	1,576,071	1,092,634	13,664,662
31 დეკემბერი 2021	2,710,155	2,531,705	772,966	2,689,923	1,471,193	1,027,247	1,873,312	3,356,383	16,432,884

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირაოთი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით დატვირთული ქონების თვითღირებულება ანგარიშგების თარიღებისთვის შეადგენს 6,930,199 ლარს. სხვა აქტივების ჯგუფში სხვა აქტივების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ღვინის წარმოებისთვის საჭირო დანადგარებს.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს ფართებს ავტო გაზ გასამართი სადგურებისთვის. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში. იჯარის ვადა და დისკონტის განაკვეთი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

იჯარის ხელშეკრულება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი
ავტო გაზ გასამართი სადგურები	59-143 თვე	7,08% - 11,05%

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	2,390,876	2,965,383
ახალი საიჯარო კონტრაქტები	1,234,129	22,956
ცვეთა	(445,871)	(479,244)
შეწყვეტილი იჯარა	(176,227)	-
მოდიფიკაცია	-	(118,219)
ნაშთი წლის ბოლოს	3,002,907	2,390,876

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	2,714,140	3,164,044
ახალი საიჯარო კონტრაქტები	1,234,129	22,957
საპროცენტო ხარჯი	308,291	270,686
საიჯარო გადასახადი	(964,499)	(741,075)
გადაფასების ეფექტი	209,733	115,747
შეწყვეტილი იჯარა	(207,736)	-
მოდიფიკაცია	-	(118,219)
ნაშთი წლის ბოლოს	3,294,058	2,714,140

7. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2019	7,421,370	25,179,505	468,080	33,068,955
შემოსვლა	156,952	20,536	201,161	378,649
გასვლა	-	(9,299)	(33,737)	(43,036)
31 დეკემბერი 2020	7,578,322	25,190,742	635,504	33,404,568
შემოსვლა	247,000	452,098	573,621	1,272,719
გასვლა	(526,492)	(708,791)	-	(1,235,283)
31 დეკემბერი 2021	7,298,830	24,934,049	1,209,125	33,442,004
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2019	-	(4,625,691)	-	(4,625,691)
წლის ცვეთა	-	(788,837)	-	(788,837)
31 დეკემბერი 2020	-	(5,414,528)	-	(5,414,528)
წლის ცვეთა	-	(771,095)	-	(788,837)
გასული საინვესტიციო ქონების დაგროვილი ცვეთა	-	226,190	-	226,190
31 დეკემბერი 2021	-	(5,959,433)	-	(5,959,433)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	7,578,322	19,776,214	635,504	27,990,040
31 დეკემბერი 2021	7,298,830	18,974,616	1,209,125	27,482,571

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით დატვირთული ქონების თვითღირებულება აღნიშნული თარიღებისთვის შეადგენს 13,177,608 ლარს.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

სადაც კომპანია წარმოადგენს მეიჯარეს, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადელები იჯარის კონტრაქტის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2021
1 წლამდე	6,696,500	5,386,601
1 წლიდან 5 წლამდე	16,173,625	16,903,438
5 წლის ზემოთ	6,204,971	6,433,382
	29,075,096	28,723,421

8. ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

კომპანია:	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შპს კასლეთი 1	1,712,780	1,074,705
შპს ომეგა გაზი	231,067	199,230
შპს დელტა გაზი	220,765	188,849
შპს შატრო ველი	160,264	144,633
შპს ფოთპეტროლი	122,882	95,790
შპს კერა დეველოპმენტი	-	-
შპს ლუჯი თაუერი	526,494	-
	2,974,252	1,703,207

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებების რეკონსილაცია:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	1,703,207	1,181,691
დამატებითი შენატანები	1,438,328	895,792
ახალ კომპანიის წილის შემოსვლა	-	219,355
მიღებული დივიდენდი	-	(45,734)
ზარალის წილი ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	(167,283)	(27,677)
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოებიდან კაპიტალის გამოტანა	-	(129,840)
ერთობლივი საწარმოების წილის რეალიზაცია*	-	(390,380)
ნაშთი წლის ბოლოს	2,974,252	1,703,207

*ჯგუფმა 2020 წლის 10 ივლისს, ერთობლივი საწარმოს შპს რივერსაიდ დილომის - 50%-იანი წილის (თვითღირებულებით 390,380 ლარი) მიყიდა შპს თბილისის საინვესტიციო ჯგუფს 918,000 ლარად.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ინვესტიციები წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, როლებიც ნაჩვენებია ერთობლივი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე აქტივები	11,891,151	9,400,681
გრძელვადიანი აქტივები	1,591,097	1,888,927
მიმდინარე ვალდებულებები	4,984,268	4,123,592
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,067,718	3,044,111
წმინდა აქტივები	5,430,263	4,121,907
შემოსავალი	3,271,996	2,492,004
ხარჯი	(4,124,044)	(3,434,795)
მთლიანი სრული ზარალი	(852,048)	(942,792)

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, როლებიც ნაჩვენებია მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე აქტივები	412,595	323,700
გრძელვადიანი აქტივები	868,320	889,264
მიმდინარე ვალდებულებები	559,334	864,173
გრძელვადიანი ვალდებულებები	468,473	-
წმინდა აქტივები	253,108	348,791
შემოსავალი	307,292	2,051,173
ხარჯი	(329,247)	(1,563,939)
მთლიანი სრული მოგება	(21,955)	487,234

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საწვავი	1,459,387	940,209
უძრავი ქონება*	854,803	854,803
სხვა	815,771	661,121
	3,129,961	2,456,133

*უძრავი ქონება შედგება გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი ფართებისა და ავტოფარეხებისგან.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნა წილების რეალიზაციიდან	3,320,480	2,201,660
საიჯარო მოთხოვნები	1,234,852	833,008
სხვა მოთხოვნები	1,180,851	737,710
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,213,420)	(369,561)
	4,522,763	3,402,817
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები*	850,338	2,070,587
გამოკლებული: საექვო გადახდილი ავანსების რეზერვი	(126,302)	(35,053)
	724,036	2,035,534
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,246,799	5,438,351

*გადახდილი ავანსები მოიცავს 2020 წლის ნოემბერში შპს რივერსაიდ დილმისთვის - 50%-იანი წილის მიწოდებას უძრავი ქონების სანაცვლოდ, რომელსაც კომპანია 2021 წელს მიიღებს.

ინფორმაცია 2020 წელს რეალიზებული ერთობლივი საწარმოს წილის რეალიზაციის ღირებულების და თვითღირებულების შესახებ იხილეთ მე-8 განმარტებითი შენიშვნაში.

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი (%)	1.15%	5.75%	11.5%	34.5%	80.5%	100%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	437,345	107,129	174,186	65,526	72,428	166,871	1,023,485
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(5,030)	(6,160)	(20,031)	(22,606)	(58,305)	(166,871)	(279,003)
	432,315	100,969	154,155	42,920	14,123	-	744,482

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი (%)	1.15%	5.75%	11.5%	34.5%	80.5%	100%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	184,283	77,267	122,113	17,396	17,952	151,309	570,320
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების რეზერვი	(2,119)	(4,443)	(14,043)	(6,002)	(14,451)	(151,309)	(192,367)
	182,164	72,824	108,070	11,394	3,501	-	377,953

ფინანსური მოთხოვნების ინდივიდუალური გაუფასურება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021
ფინანსური მოთხოვნები	
მთლიანი ღირებულება	4,712,698
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(934,417)
	3,778,281

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ინდივიდუალურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნები არ ჰქონია.

ფინანსური მოთხოვნების რეზერვების რეკონსილაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	(369,561)	(435,264)
საექვო მოთხოვნების რეზერვის სხვა ცვლილება	(872,787)	10,167
მოთხოვნების დაფარვა	28,928	52,056
ფინანსური აქტივების გადაფასების ეფექტი	-	3,480
ნაშთი წლის ბოლოს	(1,213,420)	(369,561)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული სალაროში	65,361	4,756
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	125,270	30,091
ფული ბანკში სხვა ვალუტაში	372,967	817,374
ფული გზაში*	178,375	134,098
	741,973	986,319

*ფული გზაში შედგება ავტო გასამართ სადგურებზე მიღებული თანხებისგან, რომლებიც 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის შემოსული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე.

ჯგუფის ფლობს შეზღუდულ ფულს, რომელიც წამოადგენს 2020 წლის 31 დეკემბერს აღებული 1,680,450 ლარის მოცულობის სესხის უზრუნველყოფას, სესხის დაფარვის ვადა 6 თვეა.

12. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხის ძირი	28,815,561	30,053,956
დარიცხული პროცენტი	667,986	623,521
	29,483,547	30,677,477

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი როგორც ევროში, ასევე დოლარში მერყეობს 6%-დან 7,3%-მდე. ლარში აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 10%-დან 14%-მდე.

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	30,677,477	23,142,195
ფულადი ნაკადები	(1,778,036)	2,762,729
არაფულადი მოძრაობა:		
საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტი	2,717,698	1,653,372
მოდIFIკაციის ეფექტი	(158,579)	158,579
გადატანა გადავადებულ შემოსავალში	(397,821)	-
საკურსო სხვაობის ეფექტი	(1,577,192)	2,960,602
ნაშთი წლის ბოლოს	29,483,547	30,677,477

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	332,656	95,242
გადასახდელი ხელფასები	14,963	20,555
სხვა ვალდებულებები*	339,426	620,550
	687,045	736,347
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	405,644	238,875
გადავადებული შემოსავალი**	397,821	-
	803,465	238,875
	1,490,510	975,222

*სხვა ვალდებულებები წარმოქმნილია ჯგუფის მიერ გრძელვადიანი აქტივების შეძენის შედეგად.

**ჯგუფი ახორციელებს სოფლის მეურნეობის საქმიანობას, რასთან დაკავშირებითაც მიღებული აქვს სახელმწიფო გრანტი, სესხის პროცენტის თანადაფინანსებისთვის და აქტივების შეძენისთვის.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი და ვალუტების მიხედვით გაშიფვრა იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნაში.

14. ამონაგები

	2021	2020
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი:		
საწვავის რეალიზაციიდან	39,659,495	27,723,205
	39,659,495	27,723,205
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი:		
სავაჭრო ცენტრის იჯარიდან	2,527,536	2,530,266
ავტო გასამართი სადგურების და სხვა ინფრასტრუქტურის იჯარიდან	3,448,451	2,983,611
სხვა	823,196	199,150
	6,799,183	5,713,027
	46,458,678	33,436,232

ჯგუფის ძირითადი შემოსავალი დაკავშირებულია საწვავის საცალო და საბითუმო ვაჭრობასთან. ამასთანავე, ჯგუფს იჯარით აქვს გაცემული მის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ცენტრი და ავტო გასამართი სადგურები, რომლებსაც აქირავებს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

15. რეალიზაციის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:		
საწვავი	(36,197,778)	(24,089,902)
	(36,197,778)	(24,089,902)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება:		
ცვეთა	(1,097,012)	(1,149,511)
სხვა	(1,034,873)	(543,172)
	(2,131,885)	(1,692,683)
	(38,329,663)	(25,782,585)

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავლები

	2021	2020
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	521,067	-
წმინდა მოგება ერთობლივი საწარმოს წილის რეალიზაციიდან*	-	578,192
დივიდენდი	29,388	-
სხვა	66,183	229,010
	616,638	807,202

სხვა ხარჯები

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ჩამოწერა	-	(60,744)
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(37,855)	-
მიწის დამუშავების ხარჯები	-	(97,243)
სხვა	(204,022)	(112,482)
	(241,877)	(270,469)

სულ სხვა შემოსავალი, წმინდა

	374,761	536,733
--	----------------	----------------

* 2020 წლის 10 ივლისს, ერთობლივი საწარმო - შპს "რივერსაიდ დილმის" - 50%-იანი წილი (თვითღირებულებით 458,548 ლარი) მიყიდა შპს "თბილისის საინვესტიციო ჯგუფს" 918,000 ლარად. ასევე, 2020 წლის 1-ელ სექტემბერს, შვილობილი კომპანიის - შპს "მარნეული ალმონდისის" - 10%-იანი წილი მიყიდა ფიზიკურ პირს 58,357 ლარად (თვითღირებულებით 58,357 ლარი).

17. გაყიდვის დანახარჯები

	2021	2020
ცვეთა	(800,778)	(839,144)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(919,794)	(724,310)
რემონტის ხარჯები	-	(50,832)
კომუნალური ხარჯები	(132,985)	(112,621)
სხვა	(602,622)	(289,952)
	(2,456,179)	(2,016,859)

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(984,242)	(778,791)
წმინდა ცვლილება მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხში	(935,109)	30,525
ცვეთა და ამორტიზაცია	(415,511)	(374,740)
საგადასახადო ხარჯები	(291,166)	(248,217)
რემონტის და შეკეთების ხარჯები	(257,646)	(251,878)
საწვავი	(232,773)	(190,002)
კომუნალური ხარჯები	(108,896)	(52,637)
დაზღვევა	(93,950)	(61,835)
საოფისე ხარჯები	(48,282)	(27,904)
ბანკის მომსახურების ხარჯები	(39,585)	(78,936)
სხვა	(571,642)	(612,079)
	(3,978,802)	(2,646,494)

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის ჯგუფმა 2020 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი (324,768 ლარი) წარადგინა რეალიზაციის თვითღირებულებაში (259,222 ლარი) და გაყიდვის დანახარჯებში.

19. პირობითი ვალდებულებები

ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა

ჯგუფს აქვს ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან. ამგვარი ფინანსური კოეფიციენტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მიღებული სესხების მოთხოვნისთანავე დაფარვის ვალდებულებასთან.

კრედიტორების მიერ დაწესებული კოეფიციენტები

EBITDA*/სასესხო ვალდებულებები

2021

2020

≥0.25

≥0.25

EBITDA*/საპროცენტო ხარჯი

≥3

≥3

(LTV) სასესხო ვალდებულების ძირითადი საშუალებებით

≥1.25

≥1.25

უზრუნველყოფის კოეფიციენტი

(DSCR) სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი

-

≥1.2

კომპანია ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტს

(DSCR) სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებით

2021

2020

≥1.2

-

უზრუნველყოფის კოეფიციენტი

სასესხო ვალდებულებები/EBITDA

>6

-

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა ორ ფინანსურ შეზღუდვას. ფინანსური შეზღუდვების შეუსრულებლობის შესაძლო შედეგებზე ინფორმაცია გაშიფრულია 21-ე განმარტებით შენიშვნებში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირი დაკავშირებულ მხარესთან	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	2,806,607	3,299,600
საპროცენტო შემოსავალი	სხვა	-	8,648
ხელფასები და სხვა სარგებელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	(524,161)	(383,368)
სხვა წმინდა შემოსავალი	სხვა	-	(451,281)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საომარი ვითარებები უკრაინის ტერიტორიაზე

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა.

ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ აფასებს ომის ზუსტს გავლენას (ან პოტენციური გავლენას) ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე.

ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა

ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა ერთერთი მსესხებლის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზედამხედველო კაპიტალის ფინანსურ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევა გამოწვეული იყო წლის ბოლოს მოზიდული დიდი მოცულობის ფულადი რესურსით. ფინანსური კოეფიციენტი დაკმაყოფილდა 2022 წლის იანვრის შემდეგ, მსესხებელს დარღვევის გამო არ მოუთხოვია სესხის დაფარვა ან სესხის პირობის ცვლილება. 2022 წლის მაისში ორგანიზაციამ აღნიშნული მსესხებლისგან მიიღო 1,625,000 დოლარის მოცულობის ახალი სესხი.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა და ყველა აქტივი წარადგინა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღებ თანხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება წარდგენილი აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩათვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფს:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, ჯგუფის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ჯგუფის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- ჯგუფის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფი იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც ჯგუფის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ბიზნეს კომბინაცია

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. ბიზნეს კომბინაციასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შეძენელ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღირდება დასაწყის 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად;
- ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღირიცხება ფასს 2 „წილობრივი გადახდა“-ს მიხედვით; და
- აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღირიცხება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებად აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას წილობრივი მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღრიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; წილობრივი მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას წილობრივი მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მეკავშირე საწარმოდ ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოდ. მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღრიცხება შემდეგნაირად:

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება;

ბ) მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი.

თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოები და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი წილობრივ მეთოდს იყენებს მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება.

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი ნეტო ინვესტიცია გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, რაც გამოიწვია ნეტო ინვესტიციის საწყისი აღიარების შემდეგ მომხდარმა ერთმა ან რამდენიმე მოვლენამ („ზარალის გამომწვევი მოვლენა“), ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ნეტო ინვესტიციიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე და შესაძლებელია გაუფასურების ზარალის საიმედოდ შეფასება.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რადგან მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ჯგუფის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში შესული გუდვილის აღიარება ცალკე არ ხდება, ჯგუფი არ იყენებს გუდვილის გაუფასურებაზე ცალკე ბასს 36-ის - „აქტივების გაუფასურება“-ს მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად გაუფასურებაზე მოწმდება ინვესტიციის, როგორც ერთი აქტივის, მთლიანი საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის) შედარებით საბალანსო ღირებულებასთან. ასეთ შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალი არ ნაწილდება რომელიმე აქტივზე, მათ შორის გუდვილზე, რომელიც წარმოადგენს

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. შესაბამისად, ამ გაუფასურების ნებისმიერი კომპენსირების თანხას ჯგუფი აღიარებს ბასს 36-ის შესაბამისად იმ ოდენობით, რა სიდიდითაც გაიზრდება შემდგომში ამ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

ჯგუფი წყვეტს წილობრივი მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საკმიალობა. როდესაც ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში.

ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

როდესაც ჯგუფი კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი მათთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა თანხას ისეთივე წესით ასახავს, როგორც მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები უშუალოდ გაყიდვით ყველა შესაბამის აქტივს ან ვალდებულებას. ამგვარად, თუ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მიერ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირებული იყო მოგებაში ან ზარალში შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, ჯგუფს ეს შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან გადააქვს მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა), როდესაც კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებზე. თუ ჯგუფის საკუთრების წილი მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში მცირდება, მაგრამ ეს ინვესტიცია ისევ მეკავშირე საწარმოს სტატუსს ინარჩუნებს, ჯგუფს მოგებაში ან ზარალში გადააქვს მხოლოდ წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის პროპორციული წილი.

ჯგუფი აგრძელებს წილობრივი მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ხდება ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ან ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ხდება ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კონტრაქტის ვადით
ავტო გასამართი სადგურები	5-20
სატვირთო და სხვა ავტომობილები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა	5-15

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებად ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადაჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს. საინვესტიციო ქონება ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. შენობა ნაგებობების და ავტო გაზ- გასამართი სადგურების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 20 წელს.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახადები

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მიიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. ჯგუფის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქტის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რწმუნება იმის შესახებ, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და შემოსავლის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება ოპერაციის პერიოდში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია ჯგუფის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მოწაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- ჯგუფის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც ჯგუფს ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლე ვიდრე იჯარის ვადა.

როდესაც ჯგუფი ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახედული ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთისა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზირდება დარჩენილი (გადახედული) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღიიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდა ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტის დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფი იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

იბერკომპანი ჯგუფი
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა.....	42
2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	43
3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	45
4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	45
5. ჯგუფის განვითარების გეგმები	46
6. ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები	46

1. საქმიანობის მიმოხილვა

იბერკომპანი ჯგუფი (შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იბერკომპანი ჯგუფის 100%-იანი დამფუძნებელია ფ/პ გოჩა ენუქიძე. ჯგუფს მართავს 100%-იანი წილის მმართველია ლევან დიასამიძე, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იბერკომპანი ჯგუფის ინვესტიციები მოიცავს მომდევნო ერთეულებს:

- შპს იბერჰესი - 100% წილი
- შპს იბერვანი - 100% წილი
- შპს ჰოუმმარტი - 100% წილი
- შპს გალაქსი ინვესტი - 100% წილი
- შპს მარნეული ალმონდს - 90% წილი
- შპს საბურთალოს ბაზარი 2012 - 60% წილი
- შპს არქი რივერსაიდი - 50% წილი
- შპს კერა დეველოპმენტი - 50% წილი
- შპს ლუჯი თაუერი - 50% წილი
- შპს ფოთპეტროლი - 40% წილი
- შპს ომეგა გაზი - 35% წილი
- შპს კასლეთი 1 - 22.5% წილი
- შპს შატრო ველი - 20% წილი
- შპს დელტა გაზი - 10% წილი

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ნავთობპროდუქტების იმპორტი, მათი საცალო და საბითუმო რეალიზაცია;
- ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია;
- უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

ჯგუფს აქვს ცენტრალიზებული მართვის სტრუქტურა.

2021 წელს დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა ჯგუფში შეადგენდა 200 თანამშრომელს. შემუშავებულია საბონუსე სისტემა, რომლის საფუძველზეც აგს-ების თანამშრომლების მიერ გაწეული ეფექტური, ხარისხიანი და შედეგიანი სამუშაო პირდაპირ აისახება მათ ანაზღაურების მოცულობაზე.

ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლებს ჯანმრთელობის დაზღვევით.

ჯგუფს არ აქვს ფილიალები, კონკრეტულად დედაკომპანიას - შპს იბერკომპანის - აქვს ერთი სათაო ოფისი და საქმიანობას ახორციელებს ავტო გასამართი სადგურებით.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


2021 წელს კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 46,458,678 ლარი, რაც აღემატება 2020 წლის მონაცემს (33,436,232 ლარი). 2020 წელს ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების გამო, წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ე. წ. ლოქდაუნებს, რამაც გამოიწვია საწვავის მოხმარების შემცირება და შესაბამისად მოთხოვნის შემცირება. ასევე სახელმწიფოს მიერ შემოღებული რეგულაციებით, გარკვეული პერიოდით დაიხურა სავაჭრო ცენტრი, რომელიც კომპანიას იჯარით ჰქონდა გაცემული, ამ დროის განმავლობაში კი კომპანიამ შეღავათი გაუკეთა მოიჯარეებს საიჯარო გადასახდელების გადახდასთან დაკავშირებით. 2021 წლის განმავლობაში კი გაუქმდა რეგულაციები, ამოქმედდა სავაჭრო ცენტრები, მოიჯარეებიც სრულად იხდიდნენ საიჯარო თანხებს, გაიზარდა მოთხოვნა საწვავზე და სწორედ ამან გამოიწვია შემოსავლების დადებითი სიდიდით ცვლილება.

	2021	2020
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი:		
საწვავის რეალიზაციიდან	39,659,495	27,723,205
	39,659,495	27,723,205
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი:		
სავაჭრო ცენტრის იჯარიდან	2,527,536	2,530,266
ავტო გასამართი სადგურების და სხვა ინფრასტრუქტურის იჯარიდან	3,448,451	2,983,611
სხვა	823,196	199,150
	6,799,183	5,713,027
	46,458,678	33,436,232

2.1 გაყიდული საწვავიდან მიღებული ამონაგების დადარება შესაბამის ხარჯებთან

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საწვავის რეალიზაციით მიღებული ამონაგებისა და შესაბამისი საწვავების ჩამოწერით აღიარებული ხარჯების ყოველთვიური მაჩვენებლების დინამიკა, 2021 წლის განმავლობაში. გრაფიკში კარგად, თუ როგორ იზრდება რეალიზაციის მოცულობა ზაფხულის დადგომასთან ერთად და შემდეგ ისევ იკლებს ზამთრის მოახლოებისას.

კომპანია მომგებიანობის ანალიზს აკეთებს აგს-ების მიხედვით. არადაამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში აუქმებს აგს-ს და რესურსებს ახმარს მომგებიან აგს-ებს ან ახალი აგს-ის გახსნას. 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ დახურა 3 აგს (მათ შორის ერთი ივლისში და ორი ნოემბერში). ასევე 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა ხუთი ახალი აგს-ი.



2021 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 59,290,741 ლარი, რაც 4.2%-ით მეტია 2020 წლის მონაცემებთან შედარებით.

2021 წელს ჯგუფის EBITDA იყო 5,645,296 ლარი, ხოლო 2020 წელს 2,846,850 ლარი.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2.2 ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ROA - წმინდა შემოსავალი შეფარდებული მთლიან აქტივებთან	1.02%	-0.20%
ROE - წმინდა შემოსავალი შეფარდებული მთლიან კაპიტალთან	2.41%	15.50%

ROA გაუმჯობესდა მთლიანი სრული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად, რაც თავისმხრივ გამოწვეულია კოვიდ 19-ის პანდემიის ნეგატიური ეფექტების შემცირებით, მთლიანად ქვეყანაში. ROE გაუარესებულია, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით, მეორეს მხრივ კი საწესდებო კაპიტალში შენატანებითა და 2021 წლის მთლიანი სრული შემოსავლის კაპიტალზე გადახურვით. ადმინისტრაციული ხარჯების მუხლის ზრდა გამოიწვია მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილების შედეგად აღიარებულმა ზარალმა (2020-ის პერიოდში ანალოგიური ცვლილებიდან აღიარებული იყო მოგება 30,650).

2.3 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2021	2020
ამონაგები	46,458,678	33,436,232
რეალიზაციის თვითღირებულება	(38,329,663)	(25,782,585)
საერთო მოგება	8,129,015	7,653,647
სხვა შემოსავალი, წმინდა	374,761	536,733
გაყიდვის დანახარჯები	(2,456,179)	(2,016,859)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,978,802)	(2,646,494)
საოპერაციო მოგება	2,068,795	3,527,027
საპროცენტო ხარჯი	(2,729,709)	(2,082,632)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	1,430,483	(3,015,895)
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ	9,155	(1,610)
მეკავშირე საწარმოში		
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ	(176,438)	(26,067)
ერთობლივ საწარმოში		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	602,286	(1,599,177)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	602,286	(1,599,177)
საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი), რომელიც ეკუთვნის:		
მფლობელებს	577,510	(1,612,361)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	24,776	13,184

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფს წლის განმავლობაში არ ჩატარებია ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასა და განვითარებასთან.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

4.1 საოპერაციო რისკები

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

4.2 საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით.

ჯგუფი სრულად ქმნის რეზერვს 1 წელზე მეტი ვადაგადაცილების მქონე აქტივებზე.

ჯგუფი აწარმოებს მოთხოვნების მონიტორინგს და ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე მუდმივი კომუნიკაცია აქვს კონტრაგენტებთან.

4.3 სავალუტო და ნავთობის შესყიდვის რისკები

სავალუტო და შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი.

სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის საბანკო სესხების უმეტესი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

სავალუტო რისკის მართვა ხდება ბაზართან შედარებით მომგებიანი ვალუტის გაცვლის კურსის შეთანხმებით ადგილობრივ ბანკებთან.

ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილება, პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება საცალო და კორპორატიულ სარეალიზაციო ფასებში.

4.4 უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რისკი

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება გამოწვევები, რომლებიც ქართული ეკონომიკის წინაშე არსებობს. რისკ ფაქტორებს შორის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე, გამოყოფდით: ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა, ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რუსეთიდან და უკრაინიდან ფულადი გზავნილების მოცულობის არასტაბილურობას.

რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთის მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციები მნიშვნელოვან შეფერხებებს ქმნის აღნიშნული ქვეყნიდან პროდუქციის ექსპორტში, რამაც უკვე გამოიწვია ცალკეულ სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულზე ფასების ზრდა. აღნიშნული განაპირობებს ინფლაციური ფაქტორების ზრდას, როგორც გლობალურად, ასევე ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში სამომხმარებლო ფასების ზრდის მაღალი მაჩვენებელი გამოიწვევს კომპანიის საოპერაციო დანახარჯების ზრდას. აღნიშნული ეფექტის შემცირების მიზნით კომპანია განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ხარჯების ეფექტიანობის გაზრდისა და შესყიდვების პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის ზრდა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. ჯგუფი გეგმავს აქტიურად გააფართოვოს ქსელი ქვეყნის მასშტაბით.

5.1 წილების გაყიდვა შვილობილ და ერთობლივ საწარმოებში

ჯგუფმა 2021 წლის 10 ივნისს თანადამფუძნებელთან ერთად დაარსა შპს ლუჯი თაუერი (412760052), რომელშიც წილები გადანაწილდა 50/50-ზე. იბერკომპანიმ საწესდებო კაპიტალში შეიტანა 526,492 ლარის თვითღირებულების მიწა.

6. ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

იბერკომპანი ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს:

დირექტორი

ლევან დიასამიძე

იბერკომპანი ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. ჯგუფი გეგმავს აქტიურად გააფართოვოს ქსელი ქვეყნის მასშტაბით.

5.1 წილების გაყიდვა შვილობილ და ერთობლივ საწარმოებში

ჯგუფმა 2021 წლის 10 ივნისს თანადამფუძნებელთან ერთად დაარსა შპს ლუჯი თაუერი (412760052), რომელშიც წილები გადანაწილდა 50/50-ზე. იბერკომპანიმ საწესდებო კაპიტალში შეიტანა 526,492 ლარის თვითღირებულების მიწა.

6. ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

იბერკომპანი ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 13 ოქტომბერს:

დირექტორი



ლევან დიასამიძე